ზაქართ. შემარც. ხოც.-ფედ. ხარეგ. პარტია

ბრძოლა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ბრძოლა“-ის
თვიურად 700,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 30,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

წელიწადი მეხუთე

განცხადების ფასი
1 გვ. 200,000 მან. ნომპარელი
4 „ 100,000 „
საგზლოვიანად განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 471 ხუთშაბათი, მაისის 17 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 30,000

ორშაბათს, 21 მაისს, საღამოს 6 ს., სახელმწიფო ოპერის შენობაში

დანიშნულია ტფილისის საბჭოს კლუბის გაფართოებული სხდომა

„ფაბრკომების“, „ზავკომების“ და ადგილკომების მონაწილეობით.

დღის წესრიგშია:

1. ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. კომუნალურ განყოფილების გამგის მოხსენება განყოფილების მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

360 3—1 პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი.

ვინ იცავს მშვიდობიანობას?

ვერსალის ზავის ავტორნი „მშვიდობიანობის“ სახელით აწარმოებდენ ომს წლების განმავლობაში. მსოფლიო ომის მიერ დანთებულმა კოცონმა რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის სიცოცხლე გაანადგურა და ძიძეულად შეარყია მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრების პირობები.

ვერსალის ზავი სახელწოდებით ატარებს ზავის ხასიათს. იგი ომია ზავის ნიღაბით. დამარცხებულთა ხარჯზედ „გამარჯვებულთა“ განდიდება და იმპერიალისტური მადის დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა გამხდარიყო ჭეშმარიტი ზავის საფუძველი.

ამიტომაც არის, რომ ვერსალის შემდეგაც არ შეწყვეტილა სისხლის ნაკადები, მოკავშირენი ცდილობენ ყოველი საშუალების გამოყენებით აიძულონ ომში დამარცხებულნი, რომ მათ „მშვიდობიანათ“ ააყენონ მოკავშირეთა სალაროები. ისინი არ არიან მომხრენი ომის. ისინი ხომ ზავის პირობების განაღდებას მოითხოვენ? ამისათვის კი, „მშვიდობიანობის“ დამყარებისათვის, საჭირო ხდება გერმანეთის მუშების დახვრეტა და რურის ოკუპაცია დასავლეთში, ხოლო საბერძნეთისა და ოსმალეთის ავანტიურის მოწყობა აღმოსავლეთში და სამართლიანობის მხურვალე დამცველის, საბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლების ვერაგული მკვლელობა შვეიცარიაში. ესევე „მშვიდობიანობა“ ავალებს მოკავშირეთა ჰეგემონს, ინგლისს, საბჭოთა ქვეყნებს დაემუქრონ სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტით და კერზონის ავხედური ნოტით აღაშფოთონ არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასები, არამედ თვით ინგლისის მუშათა და არა მუშათა წრეებიც კი.

ყოველივე ეს ერთი წუთითაც არ იწვევს გაკვირვებას. ბურჟუაზიული პაციფიზმი სუპერ-დრედნოუტების ქუხილს ემყარება. ბურჟუაზიული თავისუფლება ერთა და ხალხთა ექსპლოატაციისა და მონობის გამოხატულებაა.

თუ რამდენად რადიკალური განსხვავებაა ბურჟუაზიული და სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობის დაცვასა და განმტკიცების საქმეში, ეს იმითაც აშკარავდება, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირმა კერზონის ნოტას, მუქარითა და ბრძანების კილოთი აღსავსეს, უპასუხა ღრმა შეგნებით მშვიდობიანობის დაცვის აუცილებლობისა.

საბჭოთა რესპუბლიკების პასუხი არ არის არც სისუსტისა და არც შიშის შედეგი. თუ რამდენათ მზად არის საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასი სამტროდ ამხედრებული ძალისათვის, ამას ამტკიცებს ერთსულოვანი გამოსვლები და გრანდიოზული ხასიათის მანიფესტაციები საპროტესტო ხასიათიც.

მუშათა კლასი მზად არის ომისათვის, როდესაც მას თავს დაესხმიან, მაგრამ იგი არასოდეს არ იწყებს ომს სხვისი დაპყრობის მიზნით. ამ შემთხვევაშიაც საბჭოთა რესპუბლიკების დასაბუთებული ნოტა მშვიდობიანობის გზით ცდილობს სადაოთ გამხდარ საკითხების მოგვარებას. ეს არის არა დიპლომატიური მიწერა და ნოტის ფორმალური გამოთქმანი, არამედ ეს არის ჭეშმარიტი სურვილი საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა მასებისა.

მრავალ ომ-ცდილ მუშათა კლასი ხედავს სამეურნეო ფრონტზედ ეწევა აღმშენებლობას და ცდილობს სამეურნეო კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას. მას სურს მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება ყველა ქვეყნებთან, რომელიც არ მოისურვებს რევოლიუციონურ მონაპოვართა ხელის შეხებას და საშინაო საქმეებში ჩარევას.

გაძლიერებული რეაქციისაგან უკვე არის ასეთი ცდა. ინგლისის ნოტა სცილდება საგარეო პოლიტიკის საკითხებს და საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო საქმეებში ცდილობს ჩარევას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭეშმარიტი დამცველი მშვიდობიანობისა საბჭოთა რესპუბლიკებია. იგი როგორც გენუაში, ისე ლოზანაში აყენებდა და ენერგიულად იცავდა ისეთი ზომების მიღებას, რაც შექმნიდა პირობებს მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის. იგი უკანასკნელად კიდევ მიმართავს მშვიდობიანი გზით ურთიერთობის შენარჩუნებას. იმ შემთხვევაში კი, თუ ინგლისის მიერ არ იქნა მიღებული წინადადება მთელი პასუხისმგებლობა აწვება მას, ხოლო რეალურ პასუხს ის მიიღებს განთავისუფლებული მუშათა კლასისაგან.

საერთაშორისო მუშათა კლასი ხედავს, თუ ვინ იცავს მშვიდობიანობას.

ქართველი ხალხისადმი.

ჩონ, ფერეიდანის ქართველები, ეს რამდენი ხანია რაც გოდოურტყოვცავ-ყე საქართველოდან, როგონაცრო დედის ძუძუდან მოგლეჯილი და გადაგდებული ყმაწვილი. ჩონ სამასი წლის განმავლობაში დაბნედილნი ვიყავით და ეხლა ამოვფეთქეთ და შევეტირეთ ჩვენ დედას, მაგრამ ვნახოთ ჩვენ ტირილს ყურს დოვგდებენ, თუ არ გუსმენენ, როგორც რო ეჭნობამდი და დამიწყებული ჰქონია-ყე. მაგრამ ომიდი გოქ, რომ უწინანდელი ქართველები გერივაც ფეხზედ იდგენ და დგანან! ვაჟკაცობაზე გათქმულნი ყოფილან და სამშობლოს მაყვარველნი. მართალია, რომ მუდამ მტერი ჰყოლია საქართველოს მაგრამ ვერმინ ჩონი დალოცილ სამშობლოს და საქართველოს ვერ მოსპობენ! ემის შამდეგ უნდა, რო სამშობლოს შვილებმა მოვიპოვოთ ერთმანერთი და მოიძებოთ ის დაკარგული ძმები და შავიკრიფოთ და შავერთდეთ ჩონ ძელებულ ქეყანაზე. დიდ მოხარულნიც უნდა ვიყნეთ, რომ ემ რამდენი წლების განმავლობაჩი დოგკარგიყო ჩონი ქართული თავრობა და ეხლა გუგუცოცხლდა ჩონი თავრობა. მაშ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველო გამარჯვებული არი, უნდა ძალიან მოხარულნი ვიყნეთ მინაც, რომ თავის თავს სთვლის სამშობლოს შვილად და ქართველადა და ჩონც „ფერეიდანელი ქართველები დარწმუნებულნი ვართ, რო საქართველოს თავრობა და ერი ჩონ უყურადღებოთ არ დოგვაგდებს, ფერეიდანის ქართველებს ორმოცი ათასი სულამდი რო ვართ. ეს უნდა ჩონ ვიცოდეთ, რომ ყველა დედებს თავითი შვილებსა-ყე წინ არ ვინ არ უპირავ და თუ კი შაძლება აქს გულით და სულით მახვოვს ხელებს. თავის შვილს მიიხუტებს თავის გულის-პირზე. და ჩონც ომიდი გაქ, რო თავრობა დოგვეხმარება, რო ჩონ ძველ ძმებთან, ქართველებთან, კავშირი შავკრათ.

სეიფოლა იოსელიანი.

შენიშვნა: წერილი გაშვებულია უცვლელად, რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს, როგორი ქართულია დაცული დღემდის ფერეიდანში.

რედაქცია.

გარეშე-ცხოვრება

საბჭოთა მთავრობის პასუხი ინგლისის მემორანდუმზე.

მოსკოვი. 14 მაისი. ინგლისის აგენტს მოსკოვში ხოჯსონს შაბათს დილით გადაეცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ლიტვინოვის მიერ ხელმოწერილი პასუხი საბჭოთა მთავრობისა ინგლისის მემორანდუმზე 8 მაისის თარიღით.

პასუხში ნათქვამია.

„თუმცა უკანასკნელ ხანებში ევროპაში გაძლიერებული რეაქცია, რომელსაც თან სდევს საბჭოთა რესპუბლიკებისადმი მტრობის გაძლიერება შესაძლებლად ხდიდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მტრული ნაბიჯების საფრთხეს, მაგრამ მაინც დიდი ბრიტანეთის მთავრობის მემორანდუმი, რომელსაც ულტიმატუმის ხასიათი აქვს და იმუქრება ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი სამეურნო ურთიერთობის გაწყვეტით, სრულიად მოულოდნელი იყო რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობისათვის თავისი მკაცრი დაუსაბუთებელი მტრული კილოთი.

„რუსეთის მთავრობამ დააფასა ის მდგომარეობა, რომ დიდმა ბრიტანეთმა პირველმა დიდი სახელმწიფოების რიცხვში საბჭოთა რესპუბლიკებთან შეთანხმება დასდო. ის შეთანხმება, ისე როგორც შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან ზავის და ევროპის ყველა სახელმწიფოების ეკონომიური კეთილდღეობის აღდგენის აუცილებელი ფაქტორია, რადგან დიდი მნიშვნელობა ევროპის ბაზარზე რუსეთის ნედლეულ მასალის გამოტანისა, რომლის ექსპორტი ყოველთვიურად იზრდება, ახლა უკვე არავისთვის სადავო არ არის.

„რუსეთის მთავრობა არ უარყოფს რა ბრიტანეთის მემორანდუმში აღნიშნულ არანორმალობას ახლანდელ ურთიერთობაში, თავის მხრივ მუდამ ცდილობდა ურთიერთობის სავსებით მოწესრიგებას და შეთანხმებას უფრო მტკიცე ბაზის შექნას, რომელიც შეუძლებელს გახდიდა უთანხმოებას და კონფლიქტებს. შეთანხმების ახლანდელი არადამაკმაყოფილებელი ბაზა აირჩია თვით ამ ბაზის ფარგლებშიც დიდი ბრიტანეთის მთავრობა ყოველთვის გაურბოდა ორივე მხარეს შორის სადავო საკითხების საქმიან განხილვას და შექმნა ურთიერთობის ისეთი წესი, რომელიც შეუძლებლად ხდიდა არსებულ კონფლიქტების დამაკმაყოფილებლად გადაჭრას.

„საბჭოთა მთავრობა უარყოფს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ბრალდებას გაძიმწვევ ხაბიჯებში, რომელიც თითქოს არა ერთხელ გადასდგა საბჭოთა რუსეთმა დიდ ბრიტანეთის მიმართ. პირიქით, შეიძლება დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხრივ რუსეთის მთელი ხალხის გამოწვევის მრავალი შემთხვევის მოყვანა. საკმაო გახსენება იმ უყურადღებობის რომელიც გამოიჩინა დიდმა ბრიტანეთმა სრუტეების, აღმოსავლეთ და სხვა საკითხების განხილვის დროს.

„მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის მთავრობას მოეპოვებოდა მრავალი მასალა, რომლებიც ამტკიცებდენ საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დიდი ბრიტანეთის აგენტების მტრულ მოღვაწეობას, მაგალითად ახლო ხანში ინგლისის კონსულების მიერ თეთრგვარდიელთა გენერლებისათვის დახმარების აღმოჩენას, ოფიცრების შეგროვებას და გაგზავნას თეთრგვარდიელების მიერ დაჭერილ ვლადივასტოკში და სხვა, მაგრამ ის არ მიმართავდა საპროტესტო ნოტებით ინგლის-რუსეთის შეთანხმების დარღვევის გამო და მუდამ ცდილობდა დიდ ბრიტანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას.

„სამწუხაროდ, დიდი ბრიტანეთი მიწერ-მოწერის დროს სარგებლობდა მეტად საეჭვო მასალებით საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ. რუსეთის მთავრობას ასეთ შემთხვევებში უხდებოდა მტკიცება, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა შეცდომაში შეყავდათ უპასუხისმგებლო ბოროტგამზრახველებს, რომლებსაც ანგარებითი მიზნები ამოქმედებდა. ეს გვიჩვენებს თუ რა მღვრიე წყაროებიდან კრებდენ საბუთებს, რომლებსაც ჩირქი უნდა მოეცხოთ რუსეთის მთავრობისათვის. რუსეთის მთავრობა საჭიროდ სთვლის განაცხადოს, რომ ბრიტანეთის მთავრობის უკანასკნელ მემორანდუმში მოყვანილი ამონაწერები და ციტატები წარმოადგენენ შეთხზულ ჭორების და სხვა და სხვა დეპეშების ნაწილების ტენდენციოზურად დამუშავებულ და ზეპირად შევსებულ შეზავებას, ასეთია მაგალითად ციტატა, რომელიც შეეხება სპარსეთს და მითითება რასკოლნიკოვის დეპეშაზე.

„ე. წ. აღმოსავლეთში პროპაგანდის სფეროში მემორანდუმში წამოყენებულ ამ და სხვა ბრალდებათა განხილვას. საბჭოთა მთავრობა უმიზნოთ თვლის, მათი დაუსაბუთებლობის გამო. ეს ბრალდებები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს თითქოს რუსეთის რესპუბლიკას არ უნდა ქონდეს საკუთარი პოლიტიკა აღმოსავლეთში. ასეთი ვალდებულება რუსეთს არასოდეს არ მიუღია თავის თავზე და ასეთ შეთანხმებაზე ინგლისთან ხელი არ მოუწერია. აღმოსავლეთის ერებთან მეგობრული კავშირის დაცვა და განვითარება საბჭოთა მთავრობას არ მიანია ინგლის-რუსეთის ხელშეკრულების დარღვევათ. ჯერ კიდევ 1921 წლის 27 ოქტომბრის ნოტაში საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევდა ინგლისს აღმოსავლეთში გაუგებრობის ასაცილებლად საშუალებებზე მეგობრულად მოლაპარაკების შესახებ. მაგრამ ინგლისი, საბჭოთა მთავრობისათვის ულტიმატუმის წარდგენამდი, ყოველთვის გაურბოდა ამას.

„თუმცა დიდი ბრიტანეთის მთავრობა ულტიმატუმის წარდგენის საჭიროებას ასაბუთებდა რუსეთის მთავრობის მიერ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეთა ინტერესების დარღვევაზე მითითებით, მაგრამ მას არ მოუყვანია მის მოქალაქეთა ინტერესების დარღვევის არც ერთი ფაქტი ინგლის-რუსეთის შეთანხმების არსებობის განმავლობაში. მემორანდუმში აღნიშნულ პერიოდში კი რუსეთის მოქალაქეთა უფრო მეტი რიცხვი დაზარალდა ინგლისის ადმინისტრაციის მოქმედებით. რომ დავდგეთ კომპენსაციის თვალსაზრისზე, სამართლიანობა მოითხოვს ორივე მხარის დაკმაყოფილებას:

7 მაისის ნოტაში რუსეთის მთავრობამ სავსებით გააშუქა ტერიტორიალური წყლების საკითხი და აღნიშნა საერთთ სავალდებულო საერთაშორისო ნორმების უქონლობა და სხვა და სხვა ქვეყნების პრაქტიკის განსხვავება ამ სფეროში. რუსეთის მთავრობა იმეორებს თავის განცხადებას ამ საკითხის გასარჩევად კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მზად ყოფნის და მისი დადგენილებისათვის დამორჩილების შესახებ.

თუმცა ინგლისის ტრალერები შემოვიდნენ რუსეთის ტერიტორიულ წყლებში, მაგრამ მიუხედავათ ამისა რუსეთის მთავრობამ გაათავისუფლა ისინი. მას არ შეუძლია თავის თავზე მიიღოს პასუხისმგებლობა ქარიშხალის დროს რუსეთის მცველ რაზმთან ერთად დაღუპულ ტრალერის გამო, მაგრამ მზად არის ტრალერის დაღუპვაში პასუხისგებლობის საკითხი გასარჩევად გადასცეს სამედიატორო სასამართლოს,

თუმცა საკითხი რუსეთში ეკლესიების მდგომარეობის შესახებ არ შეეხება ინგლისსა და რუსეთს შორის ურთიერთობას, მაგრამ მაინც ჭეშმარიტების აღსადგენათ რუსეთის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს მტკიცებას რომელიმე სარწმუნოების დევნის შესახებ. თავის ნოტაში მოქალაქე ვაინშტეინი ყველაზე ნაკლებ ფიქრობდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის შეურაცყოფის შესახებ და სურდა მხოლოდ დაენახვებია თუ რაოდენ უხერხულია ორივე მხარისათვის შინაური საქმეებში ჩარევა.

საბჭოთა მთავრობა დიდ ბრიტანეთსა და მას შორის მომხდარ გაუგებრობის მთავარ მიზეზათ სთვლის იმ ფაქტს, რომ ვერსალის ზავის შემდეგ ანტანტის ზოგიერთ წრეებს არ სურთ სხვა ქვეყნებთან საქმე იქონიონ მხარეების ნამდვილი თანასწორობის საფუძველზე. რუსეთის მთავრობა საჭიროდ სთვლის განაცხადოს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობას არ შეიძლება რაიმე საერთო ქონდეს უცხოეთის სახელმწიფოების ნება-სურვილისაგან დამოკიდებულებასთან.

მიუხედავათ გაუგებრობათა განმეორებისა, საბჭოთა რესპუბლიკები დიდათ აფასებენ დიდ ბრიტანეთთან ახლანდელ დამოკიდებულებას და ცდილობენ მის განვითარებას საბჭოთა კავშირის და ინგლისის ერების საყოველთაო მშვიდობიანობისათვის. და ამიტომ მზად არიან არსებულ კონფლიქტების კეთილ სასურველათ მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლათ.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის ნაბიჯი ალბათ გამოწვეულია საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობის ბრუნდეთ გაშუქებით თეთრგვარდიელების ზეგავლენით ისინი ამახინჯებენ სინამდვილეს.

იღებს რა მხედველობაში ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას და ცნობებს საბჭოთა რესპუბლიკების მეზობელ სახელმწიფოების შესახებ, და აგრეთვე იმ სახელმწიფოებში მოკავშირეთა გენერლების მგზავრობას, კერძოთ კი ინგლისის სამხედრო მისიის მიერ რუმინეთის საზღვრების დათვალიერებას, რუსეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ურთიერთობის გაწყვეტას შესაძლოა მოყვეს მეტად დიდი გართულება, რომელიც საფრთხე იქნება მშვიდობიანობისათვის.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა, კავშირის გაწყვეტით, მეტად დიდ პასუხისმგებლობას აიღებდა თავის თავზე. ამიტომ რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ არ არის არავითარი საბუთი კავშირის გასაწყვეტად და რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის სადაო საკითხების უმრავლესობა იმდენათ უმნიშვნელოა მოსალოდნელ შედეგებთან შედარებით, რომ ორივე მხარის კეთილი სურვილით ამ კითხვების დამაკმაყოფილებლად გადაჭრა ორივე სახელმწიფოების წარმომადგენლების თათბირზე ყოველივე დაბრკოლების გარეშე ადვილი შესაძლებელია სულ მოკლე დროში. საბჭოთა მთავრობას გულწრფელათ სურს შეთანხმების მიღწევა. მას რჩება გამოსთქვას იმედი, რომ ასეთ სურვილს გამოიჩენს დიდი ბრიტანეთიც.

საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ბრიტანეთის მთავრობას მიიღოს კონფერენციის მეთოდი და შეთანხმდეს დროსა და ადგილის შესახებ როდის და სად შესძლებდენ ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არა მარტო სადაო კითხვის განხილვას და გადაჭრას, არამედ საბჭოთა რუსეთსა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის საკითხებით მოგვარებას.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ინგლისის ნოტის წინააღმდეგ, 99 პროცენტი განხეთქილების წინააღმდეგ

სტოკჰოლმი. 13 მაისი. ნორვეგიის კომპარტიის ორგანო „არბეიდერ-ბლადეტ“-ი სწერს: „99 პროცენტი ლაპარაკობს რუსეთსა და ინგლისს შორის განხეთქილების შესაძლებლობის წინააღმდეგ, ვინაიდან ინგლისს ყველაზე უკეთესად ესმის, რომ განხეთქილება გამოიწვევს ომს, რომელიც გაამწვავებს დამოკიდებულებას ინგლისის რეაქციონურ მთავრობასა და მუშათა კლასს შორის.

ინგლისის ტრედ-უნიონების ყრილობა განხეთქილების წინააღმდეგ

ბერლინი 14 მაისი. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, ვესტ-მინსტერში, გაიმართა ინგლისის ტრედ-უნიონების და მათ წომხრე ორგანიზაციების ყრილობა კერზონის ნოტის გამო შექმნილი მდგომარეობის განსახილველად! მიღებული რეზოლიუცია მოითხოვს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას და აკრიტიკებს ინგლისის მთავრობას, რომელმაც გაგზავნა ულტიმატუმი. ყრილობა ამ ულტიმატუმს უწოდებს კონტრ-რევოლიუციონერებისათვის დახმარების გაწევას.

ინგლისში არავის არ სურს ომი რუსეთთან

ლონდონი 13 მაისი: მუშათა მიტინგის და ინგლისის საზოგადოებრივი აზრის საერთო განწყობილების მიხედვით, უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ მუშათა ფრაქციას პარლამენტში მხარს დაუჭერენ სხვა ფრაქციებიც კერზონის მოქმედების განხილვის დროს.

გაზეთები სწერენ, რომ კერზონმა უკიდურესი ხაზი აიღო. ინგლისში არავის არ სურს ომი რუსეთთან.

დიდ მნიშვნელობას აძლევენ კრასინის ჩამოსვლას და იმედი აქვთ, რომ მისი დიპლომატიური ნიჭით და პარლამენტში მუშათა ფრაქციის გავლენით გაგრძელებული იქნება სავაჭრო შეთანხმება.

კერზონის მომხრეები განხეთქილების წინააღმდეგ

ლიფილდი 14 მაისი. ლონდონში ლაპარაკობენ, რომ თუ რუსეთის სავაჭრო დელეგაცია გაძევებული იქნება ლონდონიდან. ის გადავა სტოკჰოლმში ან კოპენჰაგენში, სადაც განაგრძობს მუშაობას. მთავარი დაბრკოლება რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის შენარჩუნებისათვის მდგომარეობს იმ მტრულ პოზიციაში, რომელიც უჭირავს კერზონს. მაგრამ ბევრი მისი მომხრეებიც წინააღმდეგნი არიან განხეთქილების.

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთს

ლონდონი 13 მაისი. დღეს ლონდონში გაიმართა ინგლისის მუშების მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგზე წამოყენებული იყო ლოზუნგი: „ძირს ომი“, „ინგლის-რუსეთის სავაჭრო შეთანხმება დაცული უნდა იქნეს, ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა რუსეთის სრულ ცნობას“.

მუშებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც აფრთხილებენ ბრიტანეთის მთავრობას, რომ რუსეთთან სავაჭრო შეთანხმების გაუქმებას სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ ინგლისის მუშები. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ მთავრობამ უკან დაიბრუნოს კერზონის ნოტა და გადასჭრას სადავო საკითხები კონფერენციის საშუალებით.

კრასინის ჩასვლა ლონდონში.

ლიფილდი. 14 მაისი. დღეს ლონდონში მოელიან მოსკოვიდან ჰაეროპლანით კრასინის მოსვლას.

ბევრი ნიშნები იმას მოწმობენ, რომ რუსეთ-ინგლისის კონფლიქტი გადაჭრილი იქნება სავაჭრო ურთიერთობის შეუწყვეტლად. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ტრალერი „დეემს ჯონსონი“ განთავისუფლებულია. ეს ტრალერი დაჯარიმებულია 50 გირ. სტერლინგით.

ინგლისი სტუუის.

უმაღლეს საეკლესიო საბჭოს მიმართვა კენტერბერიის არქიეპისკოპოსისადმი.

მოსკოვი. 14 მაისი. მართმადიდებელი ეკლესიის უმაღლესმა საბჭომ მიმართა კენტერბერიის არქიეპისკოპოსს დეპეშით, რომელშიაც მიუთითებს ინგლისის ნოტის იმ ნაწილის სიყალბეზე, რომელიც შეეხება რელიგიის მდგომარეობას რუსეთში. დეპეშაში ნათქვამია: „მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი საბჭო ღრმა კმაყოფილების გრძნობით აცხადებს, რომ ეხლანდელი რელიგიური ცხოვრება რუსეთში სარგებლობს ისეთი თავისუფლებით, რომელიც მას არასოდეს და არც ერთი მთავრობის დროს არ ჰქონებია. სამოქალაქო ხელისუფლების მიერ ეკლესიის მსახურთა გასამართლება აიხსნება მით, რომ უკანასკნელებმა დაარღვიეს საბჭოთა რესპუბლიკის არსებული კანონები და ჰასუხისმგებლობა ამ დარღვევისათვის ეკუთვნის მათ და მათი ბოროტი საქმისათვის ხელის შემწყობთ.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ერთგულია სახარების, მიისწრაფვის ყველა ერების ძმური ერთობისაკენ. მაგრამ სამშობლოს ღირსების შელახვის შემთხვევაში, ის აკურთხებს თავის მრევლს აღსდგეს სამშობლოს დასაცავად და თავი შესწიროს თავის სახელმწიფოს გადარჩენის საქმეს.

რუსეთის მეცნიერები საბჭოთა რესპუბლიკის სადარაჯოზე.

მოსკოვი. 14 მაისი. გუშინ გაიმართა მოსკოვის მეცნიერების მრავალ-რიცხოვანი კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებები გააკეთეს: ამხ. სემაშკომ და ლუნაჩარსკიმ. მოისმინა რა მოხსენებები, კრებამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას და გადასწყვიტა გაუგზავნოს დასავლეთის მეცნიერებს დეპეშა, რომელშიაც გამოთქმული იქნება პროტესტი კერზონის ნოტის გამო, დეპეშაში აღნიშნული იქნება აგრეთვე ის, რომ კერზონის პოლიტიკა საფრთხეს უმზადებს მსოფლიო კულტურას.

ახალი ამბები

— ცეკავშირმა გამოსცა მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების წესდება ქართულ და რუსულ ენებზე. წესდების შეძენა შეიძლება ცეკავშირის წიგნის მაღაზიაში (შტაბის ქ. № 6).

— **სახალხო სასამართლოების ხარჯების საკითხი.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა სახალხო სასამართლოების ხარჯების საკითხი დაისვას ცენტრალურ კომიტეტში, ვინაიდან ასეთი ხარჯები არ არის გათვალისწინებული ხარჯთ-აღრიცხვით და რაც შეუძლია აღმასკომს მისი დაკისრება. წინადადება მიეცეს ხარჯთ-აღრიცხვა დაჰყოს განყოფილებათ, შეადგინოს პროცენტული შედარებითი ცხრილი. 4923 წლის ხარჯების გასულ წლების ხარჯებთან ცალ-ცალკე თვითეულ განყოფილებისათვის, ამოიწეროს ყოველგვარი შემოსავლის წყაროები, აგრეთვე უკიდურეს შესაძლებლობამდე შემცირებულ იქნას ხარჯები, რის შემდეგ ფაქტიური დეფიციტის ანგარიში წარედგინოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, შუამდგომლობით, რომ დეფიციტი დაფარულ იქნას სახელმწიფო ზინიდან.

— **პრემია მუსულმანურ სკოლების შენობის პროექტისათვის.** აღნიშნულ სკოლის საალმშენებლო კომიტეტის და ჟიურის დადგენილებით პირველი პრემია მიეცა გაბ. ტერ-მიქაელოვს, მეორე პრემია გიორგი კალაშნიკოვს, მესამე პრემია—ნიკოლოზ სეკეროვს.

— **საინფორმაციო განყოფილების გაუქმება.** ტფილისის აღმასკომმა გააუქმა საქმეთა სამმართველოსთან საინსტრუქციო-საინფორმაციო ქვე განყოფილება. საინფორმაციო ნაწილი გადაეცა სტატისტიკურ განყოფილებას, ერთი ინფორმატორის თანამდებობის დატოვებით. აგრეთვე დაარსდა სამმართველოს განყოფილებასთან საინსტრუქციო ქვედა განყოფილება და ქვედა-განყოფილების თანამდებობაზე დადგენილია მოწვეულ იქნას გამოცდილი და პასუხისმგებელი პიუი.

— **ამხ. „მუშა-ფუტკარი“.** დიდუბის მშრომელ ამხანაგობის „მუშა-ფუტკარის“ და ტრამვაის მუშებს შორის სადავო მიწის შესახებ, აღმასკომმა დაადგინა აღნიშნულ მიწიდან დაეთმოს ამხანაგობა „მუშა-ფუტკარს“ 300 ოთხკუთხი საჟენი იმ პირობით, რომ აუცილებლათ ააგებენ საცხოვრებელ სახლს.

— **მოხეტიალე ძაღლები.** საალმშენებლო-სანიტ-ტეხნიკურ ქვე-განყოფილებას წინადადება მიეცა ჯამოუშვას ძაღლების საჭერი ფიერი და დაჭერილ იქნას ქუჩაში მოხეტიალე ძაღლები.

— **აღმასკომის შენობის შეკეთება.** საალმშენებლო ქვე-განყოფილებას სასწრაფოთ დაათვალიეროს აღმასკომის შენობა და შეადგინოს აუცილებელ შეკეთების ხარჯთ-აღრიცხვა და წარმოუდგინოს პრეზიდიუმს.

— **ეჯუბოვის სახლი.** პლეხანოვის პროს., № 130, მოქ. ეჯუბოვის სახლი შეტანილ იქნას მუნიციპალიზაციის სახლების სიაში და ჩამოერთვას პატრონს. წინადადება მიეცეს საალმშენებლო ქვეგანყოფილებას შეაკეთოს აღნიშნული სახლის საზურავი.

— **ბაზარი.** ამ ბოლო დღეებში ფასები სურსათ სანოვაგეზე საგრძნობლათ აიწია. მთავარი მიზეზია ოქროს კურსის აწევა.

— **ჭლექთან ბრძოლა.** 16 მაისს დასრულდა ჭლექთან მებრძოლი კვირეული. შეკრეფილია ყულაბებით საკმაო თანხა. განზრახულია ჭლექთან საბრძოლველათ განსაკუთრებრივი სანატორიუმების დაარსება და სხ.

— **ბრძოლა მალიარიასთან.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი ღებულობს სასწრაფო ზომებს მალიარიის წინააღმდეგ, რომელიც ამ დღეებში საკმარისად გაიზარდა. შეძენილ იქნება საკმაო რიცხვი ქინაქინისა, აგრეთვე ყველა მალიარიის დაბა-ქალაქებში დაარსებულ იქნება სამალიარო საბრძოლველი სადგურები. დიდი ყურადღება მიქცეულია პროვინციისკენ, განსაკუთრებრივ კახეთისკენ, სადაც გახშირებულია ტროპიული მალიარია 50 პროც. სიკვდილის შემთხვევით.

— **წითელ ჯვარის ახალი შეფი.** განათლების მუშაკთა პროფ-კავშირმა აიღო შეფობა წითელ ჯვარზე. 14 მაისს უნდა გამართულიყო ზეიმი და წითელ დროშის ჩაბარება კავშირის მიერ, მაგრამ საბჭოთა ფედერაციის დიპლომატის ამხ. ვოროვსკის ვერაგუმათ მოკვლის გამო, დღესასწაული გადაიდო.

— **ბოტანიკური ბაღი.** პრეზიდიუმმა დაადგინა ბოტანიკურ ბაღის გვირაბში ექსკურსანტები დაშვებულ იქნენ უფასოთ, მხოლოთ პრეზიდიუმის ნებართვით.

— **სახალხო სახლი.** სახალხო სახლს მისი 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ გადაეცა 100 მანეთი ოქროთი ტფილისის აღმასკომის სახელით.

— **ქურდობა.** ტფილისის მე-2 რაიონში სასამართლოს ქუჩაზე № 46, 10 მაისს გაქურდულ იქნა მოქალაქე მჭედლიძის ბინა. მეორე დღეს ქურდები დატუსაღებულ იქმნენ. ისინი აღმოჩნდენ მეორე კურსის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტი დავით კორძაია და მოწაფე დავით ლოლაძე. ქურდები გამოტყდნენ დანაშაულობაში, მაგრამ ნაქურდალი უკვე გაეყიდათ, ქურდები გადასცეს სისხლის სამართლის მილიციას.

— **ქურდების დაჭერა.** მეორე კომისარიატის რაიონში 10 მაისს 4 საათზე დაატუსაღეს ქურდები ნიკ. ცამალაშვილი და ოვანეს მიკირტიჩიანც, რომლებიც ცდილობდნენ ბინის გაქურდვას.

ეკონომიური სხოვრება

— **კუსტარული ნავთი.** სამთო კომიტეტმა სათბობ მასალის განყოფილებასთან შეთანხმებით მოქ. კობაიძეს ნება დართო სიღნაღის მაზრის სოფ. არხიდოს-კალოში კუსტარული ნავთის ქარხნის მოწყობისა. ქარხნის მთელი პროდუქცია ხელშეკრულების ძალით სათბობ მასალის განყოფილებას გადაეცემა რეალიზაციისათვის.

— **ჩათახის ქარხანა.** ჩათახის ქარხნის გამგის ამხ. კალანდაძის დიდი დამსახურების გამო რესპუბლიკის წინაშე, აღძრული არის შუამდგომლობა საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის წინაშე მის დასაჯილდოებლად შრომის დროშით, ხოლო ქარხნის ყველა მუშები კი შეტანილ იქმნას წითელ დაფაზე და მიეცეთ მათ ერთდროული ჯილდო ფულით.

— **პურის პროდუქტები.** ამიერ კავკასიის პურის პროდუქტების გამგეობამ გადასწყვიტა თავის დასამზადებელ და სავაჭრო მუშაობის დროს იხელმძღვანელოს ამიერ კავკასიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ძირითადი კვების პროდუქტებისთვის და მოხმარების საგნებით, როგორიც არიან: პური, შაქარი, ერბო, მანუფაქტურა და სხ.

ქვრივი აღათოს პიტრეგი!

ამ პატარა ქალაქში ყველა იცნობდა ქვრივ აღათოს, რომელიც აქვე ახლო სოფელში სცხოვრობდა, და თითქმის ყოველდღე გამოჰქონდა ბოსტნეული ბაზარზედ გასასყიდათ. ამ არე-მარეზედ აღათოს ბოსტანი ცნობილი იყო და მისი ბოსტნის ქორფა კიტრები ხომ განთქმული! რადგანაც აღათოს კიტრი კარგ დახლს აძლევდა, ამიტომაც მას კიტრის მოყვანა უყვარდა ბოსტანში და ქალაქის ბაყალ-ჩარჩები დილა ადრიან გზაში უხვდებოდნენ ქალაქ-გარეთ, რათა იქვე ეყიდნათ აღათოსაგან კიტრები. და როდესაც სოფლიდან მომავალი აღათო მათ შორიდგან მოჰკრავდა თვალს, ღიმილით წაიდუდუნა ხოლმე: ო,ო,ო! დახე ამ სამგლებს, როგორ გზაში მეგებებიან! თქვენმა გაბრაჰტვამ ხელათ არ მოატყუოთ აღათო! მეხი კი დაგათხლიშეთ თქვენა ჰიიი...მც რა გამოუცდელი და საწყალი ვინმე მომნახეს!.. და მოახლოებისას გაიმართებოდა შეეაჭრება, რომლის დროსაც აღათო ისე უხვდებოდა ჩარჩებს, როგორც სეტყვა. მას ვერას დროს ვერ ატყუებდნენ და ყოველთვის აღათო გამოდიოდა გამარჯვებული. და თუ ვერ მოურიგდებოდათ დამხვდურთ, მაშინ გაბრაზებული მწვანე ლობიოთი და კიტრებით სავსე ბოხჩას შემოიდებდა თავზედ, შუბლის კოხებს შეიკრავდა და გამწვეტებული ცხვირით, ბურტყუნით გამოსწევდა ქალაკისაკენ. აი თქვენ წინწალ-გამქრალები თქვენა! ხელათ მომატყუეთ არა! მაშინ მე ქვრივი აღათო არა მრქმევია, რომ თქვენისთანა პოიებმა მომატყუონ.

ქალაქში აღათოს ყველა ბაყალ-მეწვრილმანე იცნობდა. იცოდნენ მისი ხასიათი. ამიტომ მას მეტ სახელად ყაჩაღლარას ეძახდნენ. აი როდესაც ამ დილით თვალი მოჰკრა ქალაქის შემოსავალთან მომავალ აღათოს, რომელსაც დოინჯ შემოყრილს მოჰქონდა ბოსტნეული.

ქალაქის შემოსავალთან მომავალს აღათოს იქვე ფიცრულში მომუშავე მეჩესტე არტომ სიცილით გასძახა პირდაპირ მედუქნე მიკიტანს.

— ბიჭო საქულ! მოდის, მოდის, ბიჭო შე სალავათ-ძაღლო გამო, გამოჰხედე! ვა, თავისი ფეხით მოგიტანა!.. მუდრეგ, აღათო მოდის აღათო!

საქულ ბიჭი სიხარულით გადმოხტებოდა დახლიდან და აკინკილილებული სახით თეთრი წინსაფარით გამოეჭიმებოდა დუქნის ქანზედ აღათოს.

— ვაა, აღათო ჯან! მობრძანდი, მობრძანდი, ჰაა, სადა ხარ, რათ დამივიწყე, ასე უნდა?!.. შე დალოცვილო, ჩემზედ კარგ ფასს ვინ გაძლევს! მაგრამ შენ ნამდვილი უჯიგრო ხარ უჯიგრო!.. კაცის დაფასება არ იცი! (მიკიტანს თვალი თან ბოხჩაზედ ეჭირა). ჰა, აღათო მოიტა ბარემ გადმოიღე ბოლჩა, ვნახოთ რა არის. რაღა ბაზარში გახვიდე და იწვალო სულ ერთია მაინც ჩემისთანა ფასს არ მოგცემენ.

თან მიკიტანი შველოდა ბოლჩის გადმოღებას.

ერთი ნახე რა კიტრებია. ბიჭო! რძე გასდის რძე! ვინც ამას არ შესჭამს, ცოლი გაუთხოვდება! ეშმაკურად უთხრა აღათომ.

— ვა, თუ გამითხოვდა ძალიან ვიდარდებ აი!.. შე დალოცვილო ლამაზი ქვრივები ცოტანი არიან! ამათ რა სჯობიათ! საქულა თან კიტრებს ითვლიდა ბოლჩიდან.

— აი შე წუწკო შენა! შენც ეგენი, ქვრივი დაგახველებს!

— ვა, რათა აღათოჯან, რათა? რაა, მე გემოვნება არა მაქვს, თუ შნო!.. საქულამ თან აღტაცებით წამოიძახა: ვა, ვა, რა კიტრებია, რა კიტრებია! შუშა, შუშა! დაილოცე, ბოსტან, დაილოცე! იიფ, ლაზათ, ლაზათ!

საქულა თან ხელში ათამაშებდა კიტრსა, და აღათოს უჩვენებდა.

აქ უყურე, აღათო აქა! რა ქორფათ ნაზარდია და! ვაა, ვისი ბოსტნისაა, რომ კარგი არ იყოს, კაცო, ვისი!..

— ჰო, კარგი, კარგი ნუ ყბედობ! მოიტა ჩქარა ფული. დოჰტოლივ, დამითვალე, მეჩქარება. მე დიდი ხანია რაც ნანახი მაქვს.....

გემო და ლაზათი ამასთანასა აქვს. არა და გაყვითლებულ—კუზიანებს მოვიტან გასაყიდათ, არა! ჩემს ბოსტანს ისეთი სარწყავი აქვს, რომ ასე თამამათა და კარგათ იზდება! შენ კი არ იცი, რომ აღათოს კიტრები განთქმულია?!

თან აღათო კმაყოფილებით იღიმებოდა მართლაც მთელ ამ სოფელში აღათოსთანა ბოსტანი არავის ჰქონდა. აღათოს დილით ადგომას სულიერი ვერ აასწრობდა. უნათებლივ ის ფეხზედ იყო და ბოსტანში მუშაობდა. მის ბოსტნის ახლოს წყარო გადმოსჩქეფდა. აი ამ წყაროდან რუ ჰქონდა მიგდებული ბოსტნის სარწყავად აღათოს, და ვაი იმისი ბრალი, ვინც გაბედავდა და აღათოს ბოსტნის რუს თავის ბოსტანს მიუგდებდა. აღათო თოხით ხელში გაექანებოდა და თავ-ბედს დააწყევლინებდა ამის ჩამდენს, სოფელში მისი ყველას ეშინოდა და ამბობდნენ, რომ ეგ დედაკაცი კი არა ნამდვილი ალქაჯია!..... აღათო ახალგაზრდა დაქვრივდა. მისი ქმარი საშინელი ლოთი და ამასთანავე მოჩხუბარი ავყია კაცი იყო. რასაც კი შოულობ—პოულობდა სულ თავის მუცელს ანდომებდა. და როდესაც გალოთებულ-გალეშილი ბრუნდებოდა სახლში ჩხუბს—და დავიდარაბას ასტეხავდა ხოლმე. ამას მნახველი აღათო არ უთმობდა ქმარს და ლაზათიანადაც მიბლეგვდა ხოლმე. როდესაც ქმარი მოუკვდა, არც თუ ძალიან ეწყინა აღათოს. პირიქით თავისუფლად ამოისუნთქა, რადგანაც მორჩა ამისთანა ლოთსა და ავყიას. სოფელში აღათოზედ ათასი ჭორები დადიოდა. ბოროტი ენები ამბობდნენ, ვითომც აქვე, სოფელს რომ გვერდით მონასტერი აკრავს, აი ამ მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ბერი აღათოსა ჰყვარობსო. მიტომაც ქმარი არც კი იგლოვა მაგ აშალლარამო. მართალი იყო თუ არა ეს არ ვიცით, მხოლოდ აღათო რომ ბერთან ხშირი სტუმარი იყო, ეს კი მართალია. და თავის ბოსტნიდან მწვანილეულობას და ხილს მიართმევდა ხოლმე. აღათოსაც ყურში ასმენდნენ, ყველა ამას, მაგრამ ის აინუნშიაც არ აგდებდა მათ ლაპარაკს.....

—თვალიმც გამოსჭყლეტიათ, მეტი რა საქმე აქვთ, რომ არ იყბედონო!.. ეს ხმები ახლო მდებარე ქალაქშიც მოიფინა. და ყველა ამაზედ ლაპარაკობდა. თვით ბერამდეც მიახწია ამ ამბავმა. და ერთ მშვენიერს დღეს, როდესაც აღათო თავის ბოსტანში მუშაობდა, მონასტრის ერთ-ერთ ოთახში, მონასტრის წინამძღვარი თოკზედ ჩამოკიდული ნახეს: მას თოკით თავი ჩამოეხრჩო. ამის გამოისობით მონასტერში ერთი ამბავი იყო და დიდი მითქმა-მოთქმა. ქალაქიდან გამომძიებელი და თანამდებობის პირნი გადმოსულიყვენ სანახავად: ქვრივ აღათოს ამის გაგონებამ თავზარი დასცა და მუხლებში იცემდა,—ნეტავი რათ ჩაიდინა ესაო!... და როდესაც ორი დღის შემდეგ მიცვალებული მონასტრის ეკლესიაში გადმოასვენეს, საღამოს მწუხრზედ აღათო მეზობლებთან ერთად მივიდა ცხედრის სანახავად. აგრედვე მთელი სოფლის დედაკაცობაც აქ იყო. როდესაც აღათო დაინახეს ჩურჩული დაიწყეს

—უყურე, უყურე, მაგ ამოსაბრაჰტავს. როგორ არც კი სცხვენია, ისე მოვიდაო!.

—ქა, ქა, ქა, მითომც აქ არაფერიაო, სუ კი მაგისი ბრალია. მაგ ურცხვისა!

— აღათო მივიდა, მიცვალებულს შაურიანი კელეპტარი დაუნთო თავით და დააცქერდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ გვერდით მდგომ მეზობელს წასჩურჩულა:

— უყურე, დუსავ, როგორა წევს თითქოს სძინავსო! ხელები როგორ აქვს გულზედ დაკრეფილი. ქა, თითები კელეპტრებს არ მიუგავს?! უი, საწყალი! რა კარგი და მადლიანი კაცი იყო! ცოდო არ იყო ამისი სიკვდილი, იმ საიქოს გაცხონოს უფალმა შე საწყალო!.. აღათოს თვალებში ცრემლი მოსდგომოდა.

ვ. ბუთ—ლი

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

გამოკვების კავშირის მცხეთის შესასვენებელ სახლებში მიეცა 215 ადგილი, აქედან მეთუთუნეთ —120, მკვებავთ—95 ადგილი. ხსენებული კავშირის სამდივნომ ქარხნის გამგეთ და ადგილკომებს წინადადება მისცა, შესასვენებელ სახლებში მოსათავსებლად გამოგზავნონ განსაკუთრებით მუშები. პირველი ჯგუფი მუშებისა გაიგზავნება მაისის 17. ამ დღისათვის კავშირს მიეცა 19 ადგილი, აქედან 11 მეთუთუნეებს—8 მკვებავთ.

ხელოვნების მუშაკთა სამდივნოში ტიციან ტაბიძემ განცხადება შეიტანა ხელოვნების მუშაკთა კავშირში ჟურნალის გამოცემის შესახებ, ქართულ ენაზე, კავშირმა საჭიროდ სცნო ჟურნალის გამოცემა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა ამ მიზნისთვის სესხის სახით მისცეს 150 მან. ოქროთი. ამ ჟურნალის გამოცემის განხორციელების საქმე მიენდო ამხ. ამხ. ტანდიტსა და ტაბიძეს.

რუსთველის თეატრის და კულტკომისიის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქნა.

ხელოვნების მუშაკთა ფოტოგრაფია. მისივე განცხადების თანახმად, მოწვეულ იქნა ფოტოგრაფი მიჩნიკი.

გურიის რკინიგზის მმართველობა ამ მოკლე ხანში წარმოდგენებს გამართავს ხსენებული გზის სასარგებლოდ.

პროვინციაში ხელოვნების მუშაკთა კავშირის. პროფკავშირების გასაძლიერებლად და ქუთაისში მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამხ. მოლჩანოვს დაეკისრა წავიდეს ქუთაისს საერთო-საკავშირო მუშაობის გასაჩაღებლად.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის სამდივნომ საჭიროდ აღიარა ყველა ადგილკომებს მიაწოდოს საჭირო ჟურნალ-გაზეთები.

საქართველოს საექიმო-სასანიტარო შრომის კავშირის აპრილის განმავლობაში ჰქონია 30 ადგილკომთა კრებების გარდა. აქედან—2 საზოგადო კრება—28, თათბირი—1, ყრილობა—1. ყველა კრებაზე განიხილეს 106 საკითხი—აქედან საორგანიზაციო—52, საეკონომიო—19, პოლიტიკურ ხასიათისა—10 და სხ. 25. დაესწრო—1453 კაცი. კრებებზე მოსმენილ იქმნა ანგარიშები ადგილკომებისა, რევ. კომისიის, საადმინისტრაციო მართველებთა მოხსენებანი—ლენის დახვრეტილებზე, საჰაერო ფლოტზე, პირველ მაისის მნიშვნელობაზე და სხვა.

———

მადლობა ენერგიულ მომუშავეებს ამ. კავკ. რკინის გზის დაცვის „ახრანა“ და მე-2 რაიონში მსახურებენ ინსტრუქტორი ამხ. ნ. კაკაურიძე და კომანდის უფროსი ამხ. ალექსანდრე სიხარულიძე „კომპარტიის წევრი“, რომლებმაც თავიანთ ენერგიულ პატიოსნურ და თავდადებულობით დაიმსახურეს მცირე ხნის განმავლობაში ხალხისადმი ნდობა და პატივისცემა რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან.

გულწრფელი სალამი და ვაშა თავდადებულ უჩუმარ მომუშავეებს ამხ. ნ. კაკაურიძეს და ალ. სიხარულიძეს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ „კიბო“.

ნ. კიკნაძე.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

მუშა-მსახიობი **გიორგი ჯაბაური.**

ჩვენს კურთხეულ ქვეყანას ბევრი ძალიან ბევრი „სახალხო მუშაკები“ ჰყავს. საკმარისია დაუძახოთ და ბევრი „მუშაკი“ წარმოგიდგენთ „ხანგრძლივი მოღვაწეობის სტაჟს“, მაგრამ **მუშა მოღვაწე,** რომელიც რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში ხალხის გათვითცნობიერებისათვის ეწეოდა იდეურ და კულტურულ მძიმე ჭაპანს და ისიც **უსასყიდლოდ,** ბევრს ვერ გვიჩვენებთ ასეთებს.

და რადგანაც ეს ასეა, ამიტომ ვამბობთ:—მუშებმა განსაკუთრებლი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს ამხანაგებს—**მუშა-მოღვაწეებს,** იმ მუშებს, რომელთა საქმიანობა არას დროს კარიერიზმით არ ხასიათდებოდა.

მუშა თავის საქმეში ყოველთვის გულწრფელი იყო და არის დღესაც.

ასეთ შემთხვევაში კი მუშა მუდამ მორცხვია, მოოიდებული. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ხალხის სამსახური მას **ვინმემ** დაუფასოს. დღესასწაული, იუბილე და სხვა ასეთები, მუშა-მოღვაწეს კარიერისტულ დამახასიათებელ მოვლენათ წარმოუდგენია და ვიმეორებთ ეს იმიტომ, რომ ის ხალხის სამსახურში **გულწრფელი** იყო და იქნება მომავალშიაც.

ამ გარემოებას მუშებმა თავი უნდა დავახწიოთ.

რას ვშვრებით ჩვენ, მუშები? ნუ თუ გვგონია რომ ჩვენთვის ვინმე ხმას ამოიღებს?—ტყუილი მოლოდინია!

— „მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა“!

ასეა ამ შემთხვევაშიც:—მუშა-მოღვაწე მხოლოდ ჩვენ, ქარხანა-ფაბრიკის მუშა ამხანაგებმა უნდა მოვიგონოთ და დავაფასოთ. რატომ? იმიტომ რომ ისე კარგად და ახლო არავინ არ იცნობს ჩვენ ამხანაგებს, ქარხნის წიაღიდან გამოსულ მუშა-მოღვაწეებს, როგორც ჩვენ.

ჩვენ ვერ წარმოგვედგინა დღევანდლამდე, რომ რკინის გზის მუშა გიორგი ჯაბაური, რომელიც ითვლება მუშათა თეატრების პიონერად და რომელიც სამი ათეული წლის განმავლობაში სასტიკ დარაჯად ედგა მუშათა კულტურის საქმეს სახალხო აუდიტორიებში—დარჩებოდა მუშათა ყურადღების გარეშე.

ჩვენ გვმართებდა და გვმართებს მისი **იუბილე,** მაგრამ რატომღაც ეს ასე არ მოხდა და ამიტომ:

პარასკევს მაისის 18, მშრომელი ხალხის მოამაგე მუშა **გიორგი ჯაბაური** სახალხო სახლში მართავს საღამოს, რომლის დროსაც წარმოდგენილი იქნება ცნობილი რევოლიუციონური პიესა **„ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“** (№ 21 †-ით).

იმედია მუშები არ დაივიწყებენ თავიანთ ძველ ამხანაგ მუშას **გიორგი ჯაბაურს,** იმ ჯაბაურს, რომელიც მუშათა აუდიტორიას უმასპინძლდება რევოლიუციონური პიესით.

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

საქალაქო კონფერენციისათვის.

პარტია, რომელიც ორგანიზაციის მხრით არ არის დარაზმული და მჭიდრო კავშირი არა აქვს ცენტრსპერეფერიებთან მას არ შეუძლია გაატაროს თავისი გეზი.

ვინც იცნობს საქართველოს სოც.-ფედერალისტთა ისტორიას დამეთანხმება, რომ პარტიამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ვერ შესძლო დაახლოვება ფართო მასებთან.

მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევ. პარტიის რიგებს ამშვენებს. ქალაქის და სოფლის მშრომელი ხალხის ოჯახში აღზრდილი შვილები.

ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენ პარტიულ მუშაობას და ამხანაგების ერთსულოვნებას მისთვის ცხადი იქნება, რომ პარტია ის აღარაა რაც იყო ძველად.

სისტემატიური მუშაობა წარმოებს ორგანიზაციული სფეროში, აღარ არის უდისციპლინობა. მაგრამ მაინც ტფილისში პარტიული მუშაობა კიდევ ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

ტფილისის კომიტეტი ვერ იჩენს საჭირო აქტივობას და საუბნო კომიტეტებს ვერ ხელმძღვანელობს. მან ვერ შესძლო ენერგიული მუშაობის გაჩაღება ტფილისში.

სარაიონო ორგანიზაციებს ფრაქციებს აუცილებლად უნდა ხელმძღვანელობა. შეუძლია თუ არა ხელმძღვანელობის გაწევა დღევანდელ ტფილისის კომიტეტს? მიიღო ზომები ამ ორგანიზაციის შექმნაში თუ არა? ჩვენ ვფიქრობთ, ტფილისის კომიტეტი თავის სიმაღლეზედ ვერ სდგას და საჭიროა მისი რეორგანიზაცია. და რაც შეიძლება დაჩქარებით.

გრიგოლ ლასკალი.

———

კრება. მეორე რაიონში (8,9 და 10 სამილიციო უბნებში) მცხოვრებ პარტიულ ამხანაგების კრება შესდგება პარასკევს, მაისის 18-ს, საღამოს 7 საათზე პარტიის მთავარ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 1), რომელზედაც ამხ. სერ. ამაღლობელი გააკეთებს მოხსენებას: „ჩვენ და პოლიტიკური პარტიები“, ხოლო შემდეგ გარჩეულ იქმნება სხვა და სხვა მიმდინარე საკითხები. დასწრება კრებაზე ყველა ამხანაგისთვის სავალდებულოა.

რაიონის კომიტეტი.

———

დღეს, მაისის 17-ს საღ. 7 საათზე პარტიულ ცენტრალურ კლუბში შესდგება უმუშევარი პარტიული ამხანაგების კრება. ყველა უმუშევარი ვალდებულია გამოცხადდეს და თან იქონიოს პარტიული მანდატები.

მე-4 რაიკომი.

ᲯᲣᲙᲣ ᲚᲝᲚᲣᲐ

(**25 წლის სამუსიკო მოღვაწეობის გამო**)

„რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან;
მისვე ხმისა სიტკბოსაგან
წყლითა თევზნი გადმოსხდიან“.

შოთა.

ჩვენმა სასიქადულო მგოსანმა გენიოსმა მუსიკის მნიშვნელობა აამაღლა, აიყვანა უმწვერვალეს წერტილამდე არა თუ ადამიანებში, არამედ თვით მხეცებშიაც. მუსიკალური ჰანგები იპყრობს მხეცთა ყურთა სმენას. მუსიკის ნათელსაყოფათ მოვიყვანთ ერთს მაგალითს: სპარტანელებს ჯარში გაუჭირდათ. ათინელებს სთხოვეს დახმარება, სპარტანელებმა ჯარის ნაცვლად პოეტი ანთეოსი მიიღეს. იწყინეს. ანთეოსმა თავისი მგზნებარე ლირიკით სულიერათ დაცემულს ჯარს ისეთი სული ჩაბერა, რომ ჯარი გაორკეცებული ენერგიით აღფრთოვანებული ლომივით მტერს ეკვეთა და სძლია. აქ პოეზიაზეა ლაპარაკი, მაგრამ პოეზია დარგია ხელოვნების და, მით უმეტეს, ლირიკა—იგივე მუსიკაა, იგივე სულის მოძრაობაა. ასეთი დიადია მნიშვნელობა მუსიკის. ჩვენ არ გამოუდგებით დაწვრილებით იმის ახსნა-განმარტებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკას. ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული შევეხოთ საქართველოს ფართო საზოგადოებისათვის ცნობილს, საყვარელ სახელს, მეგრულ-აფხაზურ-სვანურ-გურულ სახალხო სიმღერების დამგროვებელს, დამმუშავებელს, ჩვენი ეროვნული კულტურის ამყვავებელს, პროგრესის გზაზე დამყენებელს. ვინ უნდა იყოს ეს? ეს არის ჩვენი **ძუკუ ლოლუა.** ვის არ სმენია ეს საყვარელი სახელი, რომელ კუთხეს საქართველოსას არ სმენია მისი ინიციატივით შემდგარი ჯგუფის მეგრულ-აფხაზურ-სვანურ-გურულ ხალხურ სიმღერების მელოდიური ჰანგები. დიადია, მრავალფეროვანია პატივცემული ძუკუ ხელოვნების ერთ-ერთ დარგში: მუსიკაში, რომლის მოღვაწეობის ისტორია მოფენილია ნარ-ეკლით, დატვირთულია დაბრკოლებებით.

ამ მოკლე ხანში, ქ. ფოთის შეგნებულმა ნაწილმა პატ. ძ. ლოლუას ირგვლივ შემოკრბენ და მიზნად დაისახეს ხელი შეეწყოთ დამსახურებულ სახალხო მომღერლისა და ბელეტრისტის ნივთიერი და ზნეობრივი უზრუნველყოფისათვის. ხსენებულმა დამხმარე ჯგუფმა შუამდგომლობა აღძრა სრულიად საქ. მწერალთა კავშირის ხელოვნების მთავარი კომატეტის წინაბე, რათა მან მოქ. ლოლუას—როგორც ღირსეულ წევრს ს. ს. მწერალთა კავშირისას—გაუმართოს იუბილე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ფოთის მოწინავე ელემენტები ღირსეულად აფასებენ თავიანთი საზოგადოების წევრის მოღვაწეობას, შრომას გარდა ამისა, სრულიად საქ. მწერალთა კავშირი იმედია ყურადღებას მიაქცევს მისი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის ზნეობრივი მხარის უზრუნველყოფას, რომელიც გამოიხატება იუბილეს გამართვაში 25 წლის სახალხო სამუსიკო მოღვაწეობის აღსანიშნავად. სასურველია ამ საქმეს ხელი მოჰკიდონ და მოაგვარონ იმ პირებმა, რომლებიც ძველი მეგობრებია პატ. ძ. ლოლუასი და რომლებიც ჩვენში ცნობილნი არიან მწერლებათ და მოღვაწეებათ.

აკაკი სხვიტარიძე.

ᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲡᲘᲐ

ლოზანის პირველ კონფერენციაზე, როგორც ვიცით, ფრანგებმა და ინგლისელებმა ვერ შესძლეს იზმეტ-ფაშასთან მორიგება ვერც კაპიტულიაციის და ვერც ეკონომიურ საკითხებში. ახლანდელ მეორე კონფერენციის წინ ლოზანაში, მოკავშირეები საკმაოდ მოულოდნელი სიურპრიზის წინაშე დადგენ. ეს სიურპრიზია—ჩესტერის კონცესია.

აღმოჩნდა, რომ ამ ორ კონფერენციებს შორის გავლილ დროის განმავლობაში ოსმალებმა მოასწრეს მთელ რიგ დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობის ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა, ამერიკელ მწარმოებელთა ჯგუფთან, რომელთა სათავეში ადმირალი ჩესტერი დგას. ეს ხელშეკრულება უშუალოდ და მეტად საგრძნობად ეხება ფრანგების ინტერესებს ოსმალეთში.

ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებით ამერიკელები ხდებიან ფაქტიურად და ერთად ერთი უცხოელი კონცესიონერები ოსმალეთის მთელ [illegible] ადგილებზე, რომელნიც [illegible] მოსავლეთით მდებარეობენ. კონცესიის მნიშვნელობაზე იმის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, თუ რომ დადებული პირობების ძალით ჩესტერის ჯგუფს უფლება აქვს გასაყვანი რკინის გზების ორთავე მხარეს, 26 ვერსის ზონაში (ამ რკინის გზების შესახებ ქვევით) ისარგებლოს. ექსპლოატაციის თითქმის მთელი ბუნებრივი სიმდიდრეებით და ძალებით, რომლებიც სხვათა მფლობელობაში არ არიან. თუ კი გავითვალისწინებთ ამ ადგილების მცირე მოსახლეობას და ხეირიან წარმოების უქონლობის,—ეს უფლებები ჩესტერის ჯგუფის აბსოლუტურ ჰეგემონიას შექმნის ამ ადგილებში.

ამერიკულმა ჯგუფმა მიიღო აგრეთვე უფლება თავისი კონცესიის ზონაში ააშენოს ფაბრიკები და ქარხნები, გაიყვანოს ნავთსადენები, ააშენოს მაღაზიები და საწყობები; ყოველივე ამისთვის, მხოლოდ ზოგად ხაზებში უნდა შეთანხმდნენ. ოსმალეთის გენერალურ შტაბთან და არ შეუშალონ ხელი ოსმალეთს აუცილებელ თავდასაცავ სიმაგრეების აშენებაში.

რკინის გზის ხაზი, რომელიც უნდა გაიყვანონ ამერიკელებმა შესდგება მაგისტრალისაგან და რამოდენიმე მეტად მნიშვნელოვან შტოსაგან. შეთანხმებით თუმცა მაგისტრალათ სივას-ვანის ხაზი უნდა იქნეს, მაგრამ ფაქტიურად მას უნდა შეუერთოთ სივას-ალექსანდრეტის ყურე და სივას-სამსუნი. საერთო სიგრძე მაგისტრალისა—1300 კილომეტრამდეა. მნიშვნელოვანი შტო ჩრდილოეთით იქნება შავი ზღვის პორტ ტრაპეზუნდამდე, ისე რომ, იმავე დროს სამსახური გაუწიოს ერზერუმს და ერზიჯანს და აზერბეიჯანის რამოდენიმე პუნქტს. მაგისტრალიდან სამხრეთით შტო გავა მოსსულზე და ორ-სამ პუნქტზე სპარსეთის საზღვართან ამას გარდა ჩესტერის ჯგუფი იღებს კონცესიებს საერთოდ მთელი სივას-ბაღდადის გზის დასამთავრებლად, რომლის სიგრძე არა ნაკლებ 900 კილომეტრს უდრის.

ამ საქმეში ჩ-დებული იქნება კაპიტალი 4—5 მილიარდი ფრანკისა. როგორც სჩანს, კონცესიის მაშტაბი წმიდა ამერიკულია.

ჩესტერის კონცესიის ცხოვრებაში გატარებით ოსმალეთის ყველაზე უფრო მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრის ადგილები, რომლებშიც უხვათაა მადანი და ნავთი, ან თვით მაგისტრალის ან შტოების ზონაში მოყვება. მთელ რკინის გზის ხაზს რამოდენიმე გასავალი ექნება შავი ზღვის ნავთსადგურებში და ერთიც ხმელთა შუა ზღვაში.

ფრანგებს, როგორც ვიცით, ამერიკელებზე ადრე ქონდათ კონცესიები მცირე აზიაში. ჩესტერის კამპანიამ თავის მოქმედების სფეროც ამ კონცესიებზეც გაავრცელა. ამრიგათ, ჩესტერს და ოსმალეთის შეთანხმება ამ ნაწილებს ფრანგები იხილავენ, როგორც მათი უფლებების დარღვევას.

ამერიკელები ვალდებულნი არიან პირველ რიგში სივას-სამსუნის ხაზის და პორტ სამსუნის შენება დაიწყონ დადებული კონტრაქტის თანახმად, მუშაობა ამისათვის დაწყებულ უნდა იქნეს უახლესი ნახევარი წლის განმავლობაში.

როგორ წავა შემდეგისათვის ჩესტერის კამპანიის განზრახვების რეალიზაცია,—ძნელია ითქვას ლოზანის მეორე კონფერენციის შედეგები უთუოდ გავლენას მოახდენენ მასზე ისევე, როგორც ოსმალების მიერ წინასწარ შეკრულმა შეთანხმებამ ამერიკელებთან უკვე თავის გავლენა იქონია ლოზანის მოლაპარაკებებზე.

———

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡᲗᲐᲕᲘ

სახალხო სახლი დ. ჩოხატაურში. ვის არ მოეხსენება სახალხო სახლის მნიშვნელობა! მეტათ სასარგებლო არის ის მშრომელი ხალხისათვის და დიდი როლიც აქვს დაკისრებული მუშათა კლასის განვითარება-გათვიცნობიერებაში. თუ ასეთი დიადი მიზნები უნდა ქონდეს დაკისრებული სახალხო სახლს, ადვილი წარმოსადგენია, რა იქნება ის საზოგადოებისათვის ისეთ კუთხეში, როგორიც არის აღმოსავლეთი გურიის ცენტრში დ. ჩოხატაური. ჩოხატაურის სახალხო სახლს მეტათ გრძელი ისტორია აქვს. ის დაარსებულია 1912 წელს, იმ დროს, როდესაც მაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა პროვინციის პატარა დაბისთვის. კოხტა და დიდი შენობა აღნიშნული სახალხო სახლისა მას მერე ამშვენებს ჩვენს პატარა დაბას და შეძლებისდაგვარათ აწვდის სულიერ საზრდოს საზოგადოებას. აგებულია ის კაპიკობით შეგროვილი თანხით, რაზედაც დიდი შრომა. ენერგია და თავდადება გამოიჩინეს გრ. თავდგირიძემ, კ. ერისთავმა, ბარ. მეგრელიძემ, პარ. ჭანიშვილმა და თ. მეგრელიშვილმა. დიდი ზეიმით იქნა ის გახსნილი 1912 წელს მსახიობ ვ. მესხიშვილის თანადასწრებით. მას მერე დღევანდლამდე ავათ თუ კარგათ, სახალხო სახლი ემსახურება ადგილობრივ მკვიდრთ. შიგ არის მოთავსებული თეატრი და სამკითხველო. იყო დრო, როდესაც აღნიშნულ თეატრში თავს იყრიდა მთელი აქაური ინტელიგენტური ძალები და შესაფერი პიესებით ატკბობდა დამსწრეთ, მაგრამ დროთა განმავლობაში მომუშავე ძალები ზოგი მიმოიფანტენ და ზოგიც გულგრილობამ დაიპყრო, რითაც სახალხო სახლის მდგომარეობა მეტათ კრიტიკული შეიქნა და კინაღამ მისი კარები არ გამოიხურა. მაგრამ ამ არანორმალურ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ადგილ. კომკავშირმა, შეაკეთა შენობა, გაიყვანა ელექტრონი, დაუქირავა გამგე და დარაჯი და მუშაობაც სისტემატიურათ სწარმოებდა. დიდი მადლობის ღირსია კომკავშირის გამგეობა, რომელიც ასეთი თბილი გრძნობებით მოეკიდა ჩოხატაურის კულტურულ

კერას. ამ ბოლო დროს კი სახალხო სახლი საპატრონოდ და მოსავლელად ჩაბარდა დრამატიული წრის გამგეობას, თუმცა მატერიალურათ დახმარებას ჯერაც არ აკლებს მას კომ. კავშირი. დრამატიული წრის გამგეობამ ჩაიბარა თუ არა თეატრი, პირველ-ყოვლისა ყურადღება მიაქცია სცენას, რომელიც საშინელ სურათს წარმოადგენდა და იქ წარმოდგენის დადგმა ყოვლათ შეუძლებელი იყო, შეკეთებული იქნა სხვა და სხვა ავეჯები და შეძენილ იქნა დეკორაცია ერთი ახალი ოთახის სახით, რაც რამდენიმე ათეული მილიონები დაჯდა. დიდი შრომა გასწია სცენის მოწყობაზე წრის გამგეობის თავმჯდომარემ ი. ძნელაძემ, რისთვისაც ის მადლობის ღირსია. აი სწორეთ აღნიშნული ხარჯების დასაფარავად პარასკევს, 4 მაისს გამართულ იქნა წარმოდგენა.

დაიდგა პიესა „მეორეთ გაყმაწვილება“ დრამა 4 მოქმედ. საერთოდ პიესა კარგათ ჩატარდა და გვარიანი შთაბეჭდილებაც დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. კარგები იყვნენ ქეთო სხივიშვილი და აკაკი ცინცაძე. დანარჩენებსაც არა უშავდა. დარბაზში საუცხოვო წესრიგი იყო. არ შეიძლება აქვე დიდი მადლობა არ გამოუცხადოთ ლალ. კეკელიძეს. ევარ მეგრელიშვილს. თ. ცინცაძეს და მილ. უფროსს ლ. სარჯველაძეს, რომელთაც დიდი დახმარება გაუწიეს აღნიშნულ წარმოდგენას ბილეთების ხელზე გაყიდვით.

ამხაითელი.

საუბარი გლეხთან

3. მრეწველობა, შეერთებული მიწად-მოქმედებასთან

მრეწველობის ტალღა ვრცელდება არა მარტო აღმოსავლეთისკენ, არამედ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაც.

ავსტრიის საქარხნო მრეწველობამ სულ ცოტა ხანია რაც დაიწყო მოქმედება, მაგრამ მასში უკვე ოთხ მილიონზე მეტი მუშა მუშაობს. 1902 წლის აღწერით, ავსტრიაში იყო სულ 1.408,000 ქარხანა, რომელშიაც მოქმედებდა 1.780,000 ცხენის ძალის მანქანები და მუშაობდა ოთხ მილიონზე მეტი მუშა, ხოლო უნგრეთის ქარხნებში მუშაობდა 1.128,000 მუშა. ბოგემიამაც (ჩეხია) ათიოდე წელში იმდენად ააყვავა მრეწველობა, რომ დღეს ნამდვილ სამრეწველო ქვეყანად ითვლება იგი. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ უნგრეთს, ავსტრიას და ბოგემიას დღეს უკვე აღარ შემოაქვს სამრეწველო ნაწარმოებანი ინგლისიდან თუ გერმანიიდან და კმაყოფილდებიან საკუთარი ნაწარმოებებით.

მრეწველობის ტალღა სცემს იტალიასაც. 1870 წლებში იტალია სრულიად მოკლებული იყო საკუთარ მრეწველობას, ახლა კი იტალიელებმა იმდენად ააღორძინეს თავისი მრეწველობა, რომ უხუმრად ფიქრობენ იოლად წავიდნენ საკუთარი მრეწველობით.—„ყველაფერში თითონ“!—აი დღევანდელი ლოზუნგი იტალიისა, იტალიის მრეწველნი და ვაჭრები სულ იმის ცდაში არიან, რომ რაც შეიძლება მალე დააღწიონ თავი უცხო მრეწველებს. თუ სადამდის აღორძინდა და გაცხოველდა მრეწველობა იტალიაში სჩანს იქიდამ, რომ 1870 წლებში იტალიას შემოჰქონდა თავისი მრეწველობისათვის სხვა ქვეყნებიდან 48 მილიონი ფუთი ნახშირი ხოლო 1910 წლებში უკვე—588 მილიონი ფუთი. ამით იტალიამ დაანახვა ქვეყანას, თუ როგორ შეუძლიან ერს ააყვავოს საკუთარი მრეწველობა, თუნდა რომ სხვისგან შემოიტანოს ნახშირი და რკინა.

ესევე უნდა ვსთქვათ ესპანიაზე, სადაც აგრეთვე შეუყენებლად ვითარდება სამთო, საფართლო და სალითონო მრეწველობა. ესპანიას კი წინეთ ისე უყურებდნენ, როგორც დაბეგრილს მუშტარს უცხო მრეწველებისას!..

ბრაზილიაც ეკონომისტებმა დიდი ხანია ჩარიცხეს მხოლოდ და მხოლოდ **ბამბის** მომყვანთა რიცხვში ევროპის მრეწველობისათვის, მაგრამ 1870 წლებში ბრაზილიას ჰქონდა მხოლოდ 385 ჯარა, ხოლო ხუთმეტიოდე წლის შემდეგ მას უკვე 40 ათასი ჯარა და 10 ათასი საქსოვი დაზგა ჰქონია, რომლებსაც ყოველწლობით გამოჰქონდათ ბაზარზე 40 მილიონი არშინი ფართალი.

არც მექსიკა ჩამორჩა ბრაზილიას: 1910 წლებში მექსიკაში მუშაობდა 32.000 მუშა 145 დაზგაზე და ჰქონდა 703 ათასი ჯარა!..

გადავხედოთ ინდოეთსაც. მას მუდამ სთვლიდნენ უერთგულეს მომხმარებლად და მსყიდველად ინგლისის ბამბეული საქონლისას. ეს მართლაც ასე იყო: 1900 წლამდის ინდოეთი ყიდულობდა თითქმის მთელს ნასამედს ინგლისიდამ გამოტანილის საქონლისას, მაგრამ სულ სხვას ვხედავთ ათი წლის შემდეგ: ინდოეთი უკვე თითონა ჰყიდდა თავის ბაზარზე და თვით ინგლისშიაც და აფრიკაში თუ ჩინეთში 80 მილიონი მანეთისას. საქონელს ინგლისის მრეწველები გულის ტკივილით და გაფაციცებით თვალს ადევნებენ ინდოეთის მრეწველობის ასეთ ზრდას, რომელიც ამ სახით გამოდის მათ მოქიშპედ და არ იციან რით და როგორ გაუმკლავდნენ მას... ან რა შეუძლიანთ, როცა ინდოეთში მუშა ღირს ნახევრად ნაკლები და ძლიერ ნიჭიერი მუშებიც არიან?!...

ოცი წელიწადი ბევრი არ არის ხალხთა ცხოვრებაში, მაგრამ ამ მცირე დროშიაც ევროპას ერთი დიდი და საგრძნობი მოჯიბრეც გაუჩნდა აზიაში. ჩვენ ვამბობთ იაპონიაზე.

1880 წელს იაპონია ძლივს ერეოდა 10 მილიონ გირვანქა ბამბას, ორი წლის შემდეგ 30 მილიონს, ხოლო, ოცი წლის შემდეგ იაპონია უკვე უშვებდა ბაზარზე 225 მილიონი მანეთის ფართალს. ეს ცოტაა: 1884 წლებში იაპონიამ მოიყვანა ევროპიდან 300 მემანქანე-მუშა ხუთი წლის ვადით რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხუთს წელიწადში თითონაც იმდენად შეისწავლიდნენ მათგან ყველაფერს, რომ უმასწავლებლებოთაც შესძლებდნენ საქმის გაძღოლას, და ხელი მიჰყვეს სალითონო მრეწველობას. რამდენიმე წლის შემდეგ იაპონიას ჰქონდა უკვე 300 ქარხანა რკინისა და 11 მანქანების კეთებისა და თვით საკუთარ სამხედრო ხომალდებსაც კი აკეთებდნენ...

ჩინეთს ჯერ სძინავს, მაგრამ როცა გაიღვიძებს, თქმა არ უნდა, რომ სავსებით დაჩრდილავს აღმოსავლეთისა და თვით ევროპის მრეწველობასაც თავისი 400 მილიონიანი ხალხით...

აშკარაა, რაც დრო გადის, მრეწველობა ფეხს იკიდებს ყველგან და ყველა ხალხებში. ვრცელდება და ფეხს იდგამს ყველგან აგრეთვე სხვა ათასნაირი ხელობა და ხელოსნობა. ისპობა სამუდამოდ წინანდელი სპეციალობა. დროს ნიშანია ეს. ყოველი ერი ხდება მრეწველ ხალხად. ახლოვდება ის დრო, როდესაც ყველა ხალხები ევროპისა, ამერიკისა და თვით აზია-აფრიკისაც კი თითონ დაამუშავებენ იმას, რაც სჭირიათ. ძნელია მარტო პირველი დაწყება საქმისა, თორემ მერე თითონ მიემატება დარგი დარგსა. ტყუილად ღა აქვთ ევროპის ხალხებს იმედი ახალ ინდოეთზე თუ ჩინეთზე, ასეთები აღარ მოიპოვება დედამიწის ზურგზე. აუცილებლად საჭიროა გამოვნახოთ სხვა ახალი გზები წინსვლისა და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების უზრუნველყოფისათვის. ეს გზა არის: წარმოებანი საკუთარ მოსახმარად!

მომხმარებლებად და მსყიდველებად უნდა იყვნენ თვით ადგილობრივი მწარმოებელნი და მუშები. საჭირო აღარ არის მთელი გემებით საქონლის გზავნა, სადღაც ცხრა მთას თუ ზღვას იქით გვინეაში თუ კონგოში, როცა თვით აქვე, ინგლისში თუ საფრანგეთში, საკმაო მომხმარებლებია. საკითხი მარტო იმაშია, რომ იმდენად გავამდიდროთ საკუთარი ხალხი, მეტადრე ბეჩავი მუშა და გლეხი, რომ შეეძლოს ყოველი საჭირო საგნისა თუ საქონლის ყიდვა. იმის მაგივრად, რომ ტყუილ-უბრალოდ ხარჯოთ ფული და ენერგია მსყიდველთა ძებნაზე სადღაც ცხრა-მთასა და ზღვებს იქითა, თქვენ შინვე მოიხმარეთ ყველა ეგ საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე და ყველაფერი მოგენიჭებათ...

შოტლანდიელებმა და ირლანდიელებმა საკუთარი გაუტეხავი შრომით შექმნეს თავიანთ ჭაობებიდან საუკეთესო ნოყიერი მიწები. კეთილი და პატიოსანი! მაშ რატომ ამათ არ შეუძლიანთ იყვნენ მომხმარებლად და მსყიდველად სამშობლოს სამრეწველო ნაწარმოებთა, რომლებიც მარად ზედ-მეტად მზადდება ადგილობრივად? რა მიზეზია, რომ საფრანგეთის აბრეშუმის მქსოველნი არ იცმენ აბრეშუმის ტანისამოსსა და ხშირად, სიმშილითაც კი იხოცებიან თავიანთ ჩარდახებში!? ხორბლად, შემდეგ ნაცარ-ქათამა ბალახსა და ხის ქერქს ურევენ ფქვილში, რომ როგორმე გასძლონ ახალ მოსავლამდი?! რა მიზეზია, რომ ასე ხშირად იცოდა და იცის სიმშილი ინდოეთში თვით მის პურისა და ბრინჯის მწარმოებლებში?! პასუხი მოკლეა: იმიტომ, რომ ხალხს შეძლება არა აქვს იყიდოს ესა თუ ის საქონელი.

ბევრი ასეთი და სხვა მრავალი საკითხი და ფაქტები გვაიძულებენ გავარკვიოთ ამოცანა—როგორ მოვაწყოთ ისე, რომ ყოველი სამეურნეო თუ სამრეწველო ნაწარმოებნი სწორედ თვით მშრომელი ხალხისათვის კეთდებოდეს.

ივ. როსტომაშვილი.



სიტყვის ფოტოგრაფია. ფრანგ პროფესორმა მორანსმა (სორბონის უნივერსიტეტის) საინტერესო აღმოჩენა მოახდინა. მან დაამზადა ფონოგრაფი საბეჭდი ტელეგრაფის აპარატი და შესძლო ადამიანის სიტყვის აღბეჭდვა და მისი ჩაწერა. ეს აპარატი 15 სიტყვის ჩაწერვას ერთი თვალის დახამხამებაში ასწრებს.

წყლისა და ხმელეთის ჯავშნოსანი. ამერიკის სამხედრო სამინისტრომ მსურველთა სანახავათ სცადა ახალი კონსტრუქციის ჯავშნოსანის გამოცდა, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ შეუძლია ავტომობილიდან მატორიან ნავათ გადაიქცეს.

მძიმე ჯავშნოსანმა სრული დატვირთვით (500 ფუთი საერთო წონით) იოლათ გაირბინა მდინარის ნაპირი და ჩავიდა გუძონში (მდინარე, რომელიც სჭრის ნიუ-იორკს) დაიმალა ტალღებში და მალე მიცურდა მეორე ნაპირს; აცოცდა ამ ნაპირზე, გადაიარა ის და მიიმალა სახლებს უკან.

ცის ფოტოგრაფია. პარიზის ობსერვატორიაში მოწყობილი არის აპარატი, რომელიც საშვალებას იძლევა ნათლათ და სისწორით იქნეს ფოტოგრაფიულათ გადაღებული ვარსკვლავები და პლანეტები. გადაღება ხანგრძლივ დროს ითხოვს და ფოტოგრაფიული აპარატი შესაფერ მოძრაობას აკეთებს ცასთან ერთად. მიღებული სურათები იმდენად სწორი არის, რომ ვარსკვლავების გროვაში, სადაც მილიარდი წვრილი ვარსკვლავია, შეიძლება გარჩეული იქნეს თითოეული ვარსკვლავი. მსგავს აპარატს სდგამენ ბაბელსბერგის ობსერვატორიაშიც (ბერლინში).

შუშა, რომელიც აღარ ტყდება. ბრაზილიაში შუშის ქარხნის უფროსმა ხორმა 13 წლის დაკვირებულ ცდების მოხდენის შემდეგ გამოიგონა შუშა, რომელიც აღარ ტყდება, თუნდაც ჩაქუჩი დაუშინო. შეგიძლიანთ შუშაში ლურსმებიც ჩაარჭოთ აგრეთვე იტანს დიდ სიმხურვალეს, შეგიძლიანთ შუშის ქვაბში ადუღოთ საჭმელი, სასმელი, ტყვია, მოხრაკოთ რაც გნებავთ. თვით ალმასიც კი ძნელად უდგება მას, რაკი ხორკის აღმოჩენა ფრიად საგულისხმიერია, ამერიკისა, შვეიცისა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტები უხვ ფულს აძლევენ, რომ აღმოჩენის უფლებით ისარგებლონ.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ოპერა „ლოენგრინი“.

ვაგნერის ოპერა „ლოენგრინი“ ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის სცენაზე არის საინტერესო ფურცელი ტფილისის საოპერო თეატრის მატიანეში. უნდა ითქვას მის სიმართლე, რომ სახელმწიფო ოპერის დირექციის და აგრეთვე საინსტრუმენტო შესრულების სათავეში მდგომ ივანე პეტრეს ძე ფალიაშვილის (რომლის სამსახიობო დღესასწაულისათვის იყო დადგმულ ოპერა „ლოენგრინი“) მსახიობების ხოროს და ორკესტრის, რომ ვაგნერის ამ გენიალურ ნაწარმოების განახლებისათვის საჭირო იყო დიდი სიყვარული საქმისადმი, დიდი შრომა მუსიკალურ და სცენიურ გემოვნებისათვის.

როგორც ცნობილია, ვაგნერის ოპერებში ორკესტრს მიკუთვნებული აქვს კარდინალური მნიშვნელობა. საორკესტრო პარტია მთელი გაბმაა სიმფონიური სურათებისა. მართალია ოპერა „ლოენგრინი“ შექმნილია ვაგნერის მუსიკალურ შემოქმედების პირველ ხანებში, როდესაც დიდი გერმანელი კომპოზიტორი ოპერის მელოდიურ შინაარს მეტ ყურადღებას აქცევდა—ორკესტრს არ ჰქონდა ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც ვაგნერის უგვიანეს ნაწარმოებებში—მის მუსიკალურ დრამების ციკლში, მაგრამ ოპერა ლოენგრინის ორკესტრშიც ძლიერ ბევრი სიძნელეებია ვინაიდან მასში ბევრია ტკბილი ფორმები ხმათა რთულ წყობებისა რთული ორკესტროვკა და ინსტრუმენტოვკა. მთელი ვოკალობის შინაარსი ძლიერ ახლო კავშირშია საორკესტრო შინაარსთან და აქ დირიჟორს უხდება კოლოსალური მუშაობა. ბენეფიციანტის სასახელოდ უნდა ვსთქვა, რომ გამოცდა დაიჭირა ბრწყინვალედ და მართლაც ღირსი იყო იმ ოვაციების, რომელიც გაუმართა მას ორკესტრმა მსახიობებმა და აუარებელმა დამსწრე საზოგადოებამ. რომ გავსაჯოთ ძლიერ რთულ ინტროდუქციის შესრულებით უნდა დავრწმუნდეთ, რომ დირიჟორი მშვენიერათაა გაცნობილი პარტიტურას და მისწვდა ვაგნერის სტილს. ყველა ადგილები ემოციონალურია—გამოჩენა ბრწყინვალე რაინდის ლოენგრინის, მთელი ლოენგრინის და ელზას სიყვარულის ლირიკული, ეპოპეია, რომლებიც წარმოადგენენ ოპერაში ნათელ სხივმფენ დასაწყის;—ფრიდრიხ ფონ-ტელ-რაშუდმა და მისმა ცოლმა ორტრუდამ ნახეს საორკესტრო შესრულებაში ნათელი ფერები. ვის მივცე პალმა პირველობისა აღმსრულებელთაგან—მიძნელდება. ყველანი თავის სიმაღლეზე იდგნენ, რასაკვირველია შედარებით, ვინაიდან ვაგნერის ოპერათა პარტიების აღსრულებისთვის საჭიროა მართლაც რომ ფენომენალური ხმები, ვინაიდან ყველა პარტიები ძნელია, დიდი და დამოუკიდებელი და აქვე კიდევ რთული ორკესტროვკა. მაგრამ ჩვენმა მსახიობებმა მაინც დაიჭირეს გამოცდა, ზოგმა კარგად, ზოგმა უკეთესად. ქ-ნმა ბოკოვამ შექმნა პოეტური სახე პრინცესა ელზასი. ლირიკული ადგილები შესრულებისა უკეთესია დრამატიულზე, სადაც მომღერალი რამოდენიმედ ყალბად ათამაშებს ხმას, მაგრამ გარეგანი სახე მშვენიერია. საუკეთესო სცენები—ლოენგრინის შეხვედრა საავსეა ექსტაზით, სცენა ორტრუდასთან, სადაც მსახიობი ქალი ხაზს უსვამს ელზას სულიერ სიწმინდეს და გამოთხოვების სცენა ლოენგრინთან, სადაც ბევრი სიმართლე და რეალიზმია.

სარაჯიშვილმა შექმნა საუკეთესო სახე ცით მოვლენილ ბრწყინვალე რაინდის ლოენგრინის.

მსახიობის ხმა კარგი იყო მელოდია თავისუფლად მოდიოდა, ფრაზიროვკა—უკეთესი აღარ შეიძლება. თავიდან ბოლომდე ლოენგრინი სარაჯიშვილის შესრულებაში გაჟღენთილია მისტიციზმით, ერთი სიტყვით შთაბეჭდილება მაღალ არა ამ ქვეყნიურ ძალის სიწმინდისაა. მხოლოდ ამბის თხრობა ლოენგრინისა უნდა შესრულებულ იქმნეს უფრო ნელა და ლირიულად.

ორტრუდის პარტიის აღმსრულებელმა ამ ამაყ და გაიძვერა ქალის—მე არ დამაკმაყოფილა.

ალბათ ქ-ნი მუხტაროვა მთლად ვერ გაეცნო ფრაზების მეფის ქალის დამახასიათებელ თვისებებს, რაც გამოიხატებოდა მის სიამაყესა და სატანისებურებაში. მისი ხმა ძლიერ ეგუება პარტიას აქ განსაკუთრებით საჭიროა ის ლითონისებური ტემბრი, რაც სჭარბობს მომღერალ ქალის ხმაში, მაგრამ სცენიურ გადმოცემისათვის საჭიროა უფრო დეტალური მუშაობა. მაგიერში ორტრუდას ქმარმა ფრიდრიხ ფონ-ტედი-რაშუნდმა ნახა მშვენიერი შესრულება ბ-ნ ინაშვილის სახით. ახალგაზრდა მომღერლის ხმა ყველა რეგისტრებში კარგი იყო. შესრულება და ფრაზიროვკა მუსიკალურია. მომეწონა მსახიობის გრიმიც და კოსტიუმიც. საბინინმა როგორც ყოველთვინ მოგვცა ცოცხალი ტიპი. მისი—მეფე გენრიხ მონადირე.

დიადია. მსახიობი მღერის უმადურ მეფის პარტიას კარგათ, სასურველია მხოლოდ მეტი გარკვეული დიქცია. კარგია ხორო და ფონფასები სცენაზე. დადგმა ახალია—მარჯანიშვილის. საზოგადოთ რასაკვირველია კარგათ მოფიქრებულია მაგალითად რა საუცხოვო სურათია რაინდ ლოენგრინის გამოჩენა ნათელ სამეფოდან.

აქ მარჯანიშვილმა გამოაჩინა ტეხნიკის სასწაულები, მხოლოდ სინათლის ეფექტები უსწორო მიმართული რამოდენიმედ ახდენს შთაბეჭდილებას.

სხივმფენი სინათლე მიდის ლოენგრინთან ერთად (აქ სიმვოლიური სურათია). ძლიერ ლამაზია მონსალვატის კოშკი კვიპაროსის ხეივნით, საიდანაც გამოდის ლოენგრინი.

ძლიერ ცოცხალია მეორე სცენა—საქორწილო სვლა.

განსაკუთრებით ლამაზია მთვარის შუქი ფანჯარაში—კარგია უკანასკნელი სურათიც.

პ. ბებუთოვი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოები სომხურ ენაზე. სომხის მგოსანმა მელოიანმა და სომეხ ქართველთა ლიტერატორმა ანტონ აუშტროვმა გადათარგმნეს სომხურ ენაზე ქართველ ბაირონის ნიკოლოოზ ბარათაშვილის ლექსები: „მერანი“, „სულო ბოროტო“ და სხ.

აგრეთვე მათვე შეუდგნენ თარგმანს შემდეგ ქართველ პოეტთა ნაწარმოებისა, როგორც: ვარლამ რუხაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ობოლი მუშა და სხ.

ქართულ-სომხური ჟურნალი. უკვე დამზადებულია დასაბეჭდათ ქართულ-სომხური ჟურნალი ანტონ აუშტროვის რედაქტორობით. ჟურნალში მოთავსებული ქართველ-სომეხთა მწერლების ნაწარმოებნი.

ილია ნაკაშიძის ლექცია. სომეხთა ხელოვანთა სასახლეში შაბათს, 12 მაისს, ილია ნაკაშიძე რუსულ ენაზე წაიკითხა ლექცია შოთა რუსთაველზე. ლექციას დაესწრო განსაკუთრებრივ სომხის საზოგადოება. ლექციამ თავის შინაარსით ღრმა შთაბეჭდილება იქონია მსმენელებზე.

ლექცია პოეტ აკოპიანზე. ამავე სასახლეში ორშაბათს, 11 მაისს, ლიტერატორმა სურხადიანმა წაიკითხა სომხურ ენაზე ლექცია სომხების პროლეტარულ მგოსან აკოპიანზე.

პიესა „უნიადაგონი“ ქართულ ენაზე. მზადდება დასადგმელათ ვალ. შალიკაშვილის პიესა „უნიადაგონი“ მსახიობ პლატონ კორიშელის საბენეფისოთ. მობენეფისე ასრულებს ერისთვის როლს.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: 1921 წლამდე თანაუგრძნობდი სოც.-ფედ. სარ. პარტიას, გადატრიალების შემდეგ (1921 წლ.) ჩემის დაკვირვებით დავრწმუნდი მასში, რომ ერთად ერთი ხსნა მუშათა ხალხის და პროლეტარიატისა არის იმ გზაში, რომელსაც ადგია მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. ამიტომ მსურს ჩავეწერო ხსენებულ პარტიაში, რომელსაც დავიცავ მთელის ჩემის შეგნებით.

დავით უკლებაშვილი.

სოფ. გურჯაანი.
10 მაისი 1923 წ.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: მე გადატრიალების შემდეგ არც ერთ პარტიაში არ ვმუშაობდი, მაგრამ ეს ერთი წელია ჩემის დაკვირვებით დავრწმუნდი მასში, რომ ჭეშმარიტი გამომხატველი მუშათა ხალხის მისწრაფებათა არის მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია. ამიტომ მე ვეწერები საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიაში.

დიმიტრი ილიას ძე ფავლენიშვილი.

9 მაისი 1913 წ.
ქალ. სიღნაღი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 280 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №.